

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია 2010

"საბავშვო უნივერსიტეტი"

ზოგადი ინფორმაცია: უკვე მეორე წელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი „საზაფხულო სამეცნიერო აკადემიას" ატარებს, რომელიც ამჯერად 2010 წლის 21 ივნისიდან 1 ივლისამდე გაიმართება. აკადემიაში 8–12 კლასების ის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესი და სურვილი აქვთ კიდევ უფრო მეტად გაიღრმავონ ცოდნა ზემოთ აღნიშნულ მეცნიერებებში.

მიზანი: საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ემსახურება მიზანს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინური, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტები; ადრეულ ასაკში შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სამომავლო ინტერესების გაღვივებას და პრობლემების გადამწყვეტი, შედეგზე ორიენტირებული, სხარტი თაობის მოზიდვას უნივერსიტეტში.

პროგრამა: აკადემიის ფარგლებში დაახლოებით 20 სხვადასხვა თემატიკის 45 წუთიან სემინარ/მოხსენებას საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე (თსუ alumni), ცნობილ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში გამოცდილება მიღებული მეცნიერები და სტუდენტები წარმართავენ. მოსწავლეთა ჯგუფებს შორის მოხდება ზოგიერთი აქტუალური საკითხის განხილვა, რაც დისკუსიას და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს. დამატებით განსაზღვრულია ექსპერიმენტზე დაკვირვება, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა, კვლევის, წერის და პრეზენტაციის უნარების ვარჯიში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მიმართებაში, საკარიერო საათი, მოსწავლეთა ჯგუფური პროექტი/პრეზენტაცია და სხვა. საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის აქტიური მონაწილეები თსუ საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის დიპლომებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

სამუშაო ენა ქართულია, მაგრამ მოსწავლეთა სურვილისა და შესაბამისი რაოდენობის მონაწილეთა არსებობის შემთხვევაში ზოგიერთი სემინარი უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული) შეიძლება წარიმართოს ან სინქრონული თარგმნით იქნას მიწოდებული.

მოსწავლეთა რაოდენობა: ორგანიზაციული მიზეზების გამო მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი 36-მდეა შეზღუდული. აქედან 9 ადგილი 2009 წლის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის გამარჯვებული მოსწავლეებისთვისაა რეზერვირებული.

საზაფხულო სამეცნიერო სკოლის თარიღები: 21.06.2010– 1.07.2010 და 2.08.2010 - 9.08.2010*

* საზაფხულო სამეცნიერო აკადემია მოსწავლეთა მხრიდან დიდი მოთხოვნის შემთხვევაში აგვისტოშიც გაიმართება.

სამუშაო საათები: 10:00 – 16:00

უზრუნველყოფა: მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სრული პროგრამით და საკვებით. მონაწილეობა უფასოა.

ადგილმდებარეობა: აკადემია გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II და XI კორპუსებში. დეტალურ ინფორმაციას მონაწილე მოსწავლეები დამატებით მიიღებენ.

მოსწავლეთა შერჩევა სააპლიკაციო განაცხადით მოხდება. შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა და დამატებითი საბუთები 2010 წლის 15 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით მიიღება შემდეგ მისამართზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური; ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); თსუ XI კორპუსი, ოთახი 303, უნივერსიტეტის ქ. 3, თბილისი. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ტელეფონი: 304070, 893 930085; ელ-ფოსტა: scienceacademy2010@gmail.com (საკონტაქტო პირი ხათუნა კახიანი).

2010 წლის საზაფხულო სამეცნიერო აკადემია სააპლიკაციო განაცხადი შეიძლება ნახოთ მისამართზე: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/SSA_2010_ganacxadi.pdf

აპლიკაციისათვის საჭირო ჩამონათვალი:

- შევსებული განაცხადის ფორმა;
- მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/თხზულება;
- სკოლაში აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი საბუთი.

საზაფხულო სამეცნიერო აკადემიაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად 2010 წლის 15 ივნისამდე მიიღებენ.

მოხარული ვიქნებით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების გამოხმაურებით.

გელით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში !

მოსწავლის განაცხადის ფორმა 2010

ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)

„საზაფხულო სამეცნიერო აკადემია“

“საბავშვო უნივერსიტეტი”

აპლიკაციის შეტანის ბოლო ვადა: 2010 წლის 11 ივნისი

მოსწავლის სახელი და გვარი: ----------

სახლის მისამართი: ----------

ქალაქი, საფოსტო კოდი: ----------

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): ----------

სქესი (შემოხაზეთ ერთ-ერთი): მდედრობითი მამრობითი

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე ამჟამად სწავლობს: ----------

---

კლასი: ----------

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე 2010-2011 აკადემიური წლის განმავლობაში ისწავლის:

ჩამოთვალეთ სამეცნიერო ღონიძიებები ან პროექტები (მოხსენება, ოლიმპიადა და ა. შ.), რომელშიც მოსწავლემ 2009-2010 აკადემიურ წელს მიიღო მონაწილეობა (ჩამოთვალეთ ჯილდოები, გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი თუ ეს საჭიროა):

ინფორმაცია მშობლების (მეურვეების) შესახებ:

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი: ----------

დღის განმავლობაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:----------

სახლის ტელეფონის ნომერი: ----------

მობილური ტელეფონის ნომერი: ----------

ელექტრონული ფოსტა: ----------

მშობლის ხელმოწერა: ----------

თარიღი:----------

საზაფხულო სამეცნიერო აკადემიაში მონაწილეობის თარიღი:
(გთხოვთ შემოხაზოთ) 21.06.2010 - 01.07.2010

02.08.2010 - 09.08.2010*

* საზაფხულო სამეცნიერო აკადემია მოსწავლეთა მხრიდან დიდი მოთხოვნის შემთხვევაში აგვისტოშიც გაიმართება.

** განაცხადის ფორმას თან უნდა დაერთოს მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/ თხზულება და სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა სკოლიდან. თხზულება უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 250 სიტყვას. მოსწავლემ უნდა მიუთითოს თუ რატომ დაინტერესდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზაფხულო სამეცნიერო აკადემიით, რა გამოცდილების მიღებს იმედი აქვს და რა როლს შეასრულებს აკადემია მის მომავალში. თხზულების დასაწყისში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული მოსწავლის სახელი და გვარი, კლასი და სკოლა.

გისურვებთ წარმატებას !